ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიების
გაერთიანებული სხდომა

ოქმი № 1

ქ. ლანჩხუთი

06.06.2019.
12.00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **ემზარ თევდორაძე,** საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე **ალექსანდრე მახათაძე.**

გაერთიანებული კომისიის წევრები: კარლო კვიტაიშვილი, კახა თედორაძე, რეზო კვაჭაძე, ზაალ სანაძე, ბესიკ კუპრაძე, ცისანა ურუშაძე, გიორგი გვარჯალაძე, ციცინო ჩხაიძე, გიორგი ჩახვაძე, ზურაბ კუკულავა, დავით ჩხარტიშვილი, იოსებ ჩხაიძე, ზურაბ კუკულავა.

მოწვეული სტუმრები:

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი **როლანდ ლაშხია,** ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სპორტული ცენტრის" ხელმძღვანელი **გოჩა ლომაძე,** ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „საფეხბურთო" სკოლის ხელმძღვანელი **თემურ ალექსაია,** მესამე რანგის, პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში **მაია კუპატაძე,** მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტები: **ხათუნა ვადაჭკორია, გურამ ბოლქვაძე.**

სხდომის დაწყებამდე დეპუტატმა **გიორგი გვარჯალაძემ** ახალგაზრდა მოჭიდავეს, გიორგი შოთაძეს მიულოცა ბრწყინვალე გამარჯვება. მილოცვას კომისიის წევრებიც შეუერთდნენ და წარმატებები უსურვეს.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო **კომისიის თავმჯდომარემ, ალექსანდრე** მახათაძემ **სხდომას გააცნო დღის წესრიგი:**

1. ა.(ა).ი.პ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლის საშტატო ნუსხისა და სახელფასო განაკვეთის შესახებ ინფორმაციის მოსმენა.

/მომხსენებლები: ალექსანდრე მახათაძე,
ემზარ თევდორაძე/

2. სხვადასხვა

კომისიის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

დღის წესრიგის პროექტის მიმართ კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია:

მომხრე -6; წინააღმდეგი -არცერთი

სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია:

მომხრე-8; წინააღმდეგი-არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: 1. ა.(ა).ი.პ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის **საფეხბურთო** სკოლის საშტატო ნუსხისა და სახელფასო განაკვეთის ინფორმაციის მოსმენის **შესახებ ისაუბრა ალექსანდრე მახათაძემ.** მან განაცხადა, რომ მიმდინარე წელს, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სპორტულ ცენტრს" გამოეყო „საფეხბურთო სკოლა". ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „საფეხბურთო სკოლის" შემადგენლობაში გადმოვიდა ჩიბათის საფეხბურთო გუნდი.

კომისიის წევრთა რეკომენდაციით, ჩიბათის საფეხბურთო გუნდის ფუნქციონირებისათვის აუცილებელია 17 500 ლარი, რომელიც დამატებით უნდა აისახოს ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „საფეხბურთო სკოლის" ბიუჯეტში.

კომისიის წევრების მიერ სხვა სახის შენიშვნები არ გამოთქმულა

2. სხვადასხვა

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ **ემზარ** თევდორაძემ კომისიის წევრებს 1989 წლის 8-9 აპრილის აქციებში მონაწილეთა სახელით შემოსული ჯგუფური განცხადება გააცნო (N204. 21.05.2019 წელი). ისინი ითხოვენ, რომ ლანჩხუთის ცენტრალურ პარკს, სადაც ანტისაბჭოური მიტინგები იმართებოდა 1989 წელს მიენიჭოს ზვიად გამსახურდიას სახელი, ხოლო 1989 წლის 9 აპრილს დაღუპულთა და ამ აქციებში მონაწილეთა უკვდავსაყოფად, ბაღში მოეწყოს 21 ცალი ტიტას ფორმის დეკორატიული ლამპიონი.

კომისიამ მოქალაქეთა ინიციატივა დადებითად შეაფასა და განაცხადეს, რომ **აღნიშნული** განცხადება განხილულ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე: /ალექსანდრე მახათაძე/

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალურ საკითხთა, **განათლების**, **კულტურისა** და
ახალგაზრდულ საქმეთა **კომისიის** თავმჯდომარე: /ემზარ თევდორაძე/

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიების გაერთიანებული

სხდომის დასკვნა №1

ქ. ლანჩხუთი

06.06.2019 წ.
12.00 საათი

2019 წლის 6 ივნისს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიების გაერთიანებული კომისია.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხი:

1. ა.(ა).ი.პ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლის საშტატო ნუსხისა და სახელფასო განაკვეთის შესახებ ინფორმაციის მოსმენა.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი: 1. ა.(ა).ი.პ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლის საშტატო ნუსხისა და სახელფასო განაკვეთის ინფორმაციის მოსმენის შესახებ კომისიის წევრებმა გასცეს რეკომენდაცია, რომ ჩიბათის საფეხბურთო გუნდის ფუნქციონირებისათვის აუცილებელია 17 500 ლარი, რომელიც დამატებით უნდა აისახოს ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „საფეხბურთო სკოლის“ ბიუჯეტში.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე: /ალექსანდრე მახათაძე/

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და
ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე: /ემზარ თევდორაძე/

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა,
განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები

სარეგისტრაციო ფურცელი
06. 06. 2019 წელი
12. 00 საათი

სახელი, გვარი	დაწყების დრო	ხელმოწერა
1. თავმჯდომარე – ემზარ თევდორაძე	11.55	
2. კარლო კვიტაიშვილი	11.55	
3. გოდერძი ქურიძე	—	სს ესწრებოდა
4. კახა თედორაძე	11.50	
5. რეზო კვაჭაძე	11.50	
6. ზაალ სანაძე	11.50	
7. ბესიკ კუპრაძე	11.57	
8. ამირან ქანთარია	—	სს ესწრებოდა
9. გიორგი გვარჯალაძე	11.58.	
10. რეზო კვერენჩხილაძე	—	სს ესწრებოდა
11. ელისო ჭიჭინაძე	—	სს ესწრებოდა
12. ამირან გიგინეიშვილი	—	სს ესწრებოდა
13. ლელა ჩახვაძე	—	სს ესწრებოდა
14. ცისანა ურუშაძე	12.00	

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის
წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

06.06.2019 წელი
12:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ალექსანდრე მახათაძე	11-30	
2	ციცინო ჩხაიძე	11-45	
3	გიორგი ჩახვაძე	11 45	
4	დავით ჩხარტიშვილი	11 55	
5	ამირან გიგინეიშვილი	არ ესწრებოდა	
6	იოსებ ჩხაიძე	11 55	
7	აკაკი იმნაიშვილი	არ ესწრებოდა	
8	ზურაბ კუკულავა	11 55	